

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების მიმოხილვა

No 5

რას ნიშნავს ირანელი მეცნიერის

მოჰსენ ფახრიზადეს მკვლევლობა

ზურაბ ბატიაშვილი

ა.წ. 27 ნოემბერს თეირანის სიახლოვეს, საავტომობილო გზაზე მოწყობილი თავდასხმის შედეგად მოკლეს ირანის „ბირთვული ბომბის მამად“ წოდებული მეცნიერი მოჰსენ ფახრიზადე, რამაც ვნებათაღელვის ახალი ტალღა გამოიწვია ქვეყანაში და მის გარეთ.

საინტერესოა, რომ ირანული მხარის განცხადებით, თავდასხმა განხორციელდა დისტანციურად მართვადი მოწყობილობების გამოყენებით, რაც ახალი სიტყვაა ასეთ საქმეებში.

**ვინ იყო მოჰსენ ფახრიზადე?**

განათლებით ფიზიკოსი მოჰსენ ფახრიზადე ირანის ელიტარული „რევოლუციურ გუმაგთა კორპუსის“ გენერალი და ირანის ბირთვული პროგრამის ხელმძღვანელი იყო.



*მოჰსენ ფახრიზადე*

ირანული მხარე წლების განმავლობაში ამტკიცებს, რომ თეირანი მხოლოდ სამშვიდობო მიზნებით მუშაობს ბირთვულ პროგრამაზე. საწინააღმდეგო აზრზეა ისრაელი, რომელიც ირწმუნება, რომ ირანი ძალიან ახლოსაა ბირთვული იარაღის შექმნასთან. უფრო შორს წავიდა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ, რომელმაც თავის დროზე სწორედ ფახრიზადე დაადანაშაულა ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობაში და მსმენელებს მოუწოდა, დაემახსოვრებინათ ამ პიროვნების სახელი და გვარი.



*მოკლენ ფახრიზადეს ავტომანქანა თავდასხმის შემდეგ*

სწორედ ამის გამო ირანულმა მხარემ ისრაელი დაადანაშაულა ზემოხსენებულ თავდასხმაში (ისევე, როგორც ეს იყო 2007-2012 წლებში, რამდენიმე ირანელი მეცნიერის ლიკვიდაციისას). ასევე გარკვეული მინიშნებები გაკეთდა ტრამპის ადმინისტრაციაზე, საუდის არაბეთსა და მის მოკავშირეებზე (არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ბაჰრეინი და სუდანი). თუმცა, თეირანს ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ჯერჯერობით არ წარმოუდგენია. ბუნებრივია, ამ თავდასხმაზეც პასუხისმგებლობა არავის აუღია.

**რა შეიძლება ყოფილიყო თავდამსხმელთა მოტივაცია?**

ირანელ მეცნიერზე თავდამსხმელებს შეიძლება ჰქონოდათ რამდენიმე მოტივი:

- გაეფუჭებინათ ისედაც რთული ამერიკულ-ირანული ურთიერთობები ბაიდენის საპრეზიდენტო ვადის დაწყების წინ. ცნობილია, რომ ბაიდენის პოზიცია, დაიწყოს მოლაპარაკებები ირანთან, მკვეთრად განსახვავდება ამ საკითხისადმი ტრამპის ხისტი მიდგომებისგან;
- გამოიწვიონ ირანის საპასუხო სამხედრო ქმედება, რაც არევედა სიტუაციას მთელ ახლო აღმოსავლეთში;
- სამაგალითოდ „დაესაჯათ“ ირანის „ბირთვული იარაღის მამად“ წოდებული პირი. თუმცა, შედეგის თვალსაზრისით, ეს აშკარად ნაკლებპროდუქტიული იქნებოდა - ირანის ბირთვული პროგრამა შედეგიანობის თვალსაზრისით უკვე დიდი ხანია აღარაა დამოკიდებული ერთი პირის ბედზე.

### როგორი შეიძლება იყოს ირანის საპასუხო რეაქცია?

ცნობილი ფაქტია, რომ ირანი არის ქვეყანა, რომელიც დაუსჯელს არ ტოვებს მის წინააღმდეგ გადადგმულ ასეთ ნაბიჯებს. სწორედ ეს კონტექსტი აქვს ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელმძღვანელების მიერ გაკეთებულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ დამნაშავეები აუცილებლად დაისჯებიან. ამასთან, ირანული საპასუხო ნაბიჯი/ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას როგორც მოკლე პერიოდში, ისე გაიწელოს დროში.

საინტერესო ფაქტია, რომ ფახრიზადეს მკვლელობის შემდეგ ირანის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც დაჩქარდება ურანის გამდიდრების პროცესი.

საერთაშორისო აქტორები მხარეებს სიმშვიდისა და სიტუაციის დეესკალაციისკენ მოუწოდებენ. ცხადია, რომ მათ არ აწყობთ ისედაც პრობლემებით სავსე ახლო აღმოსავლეთის კიდევ უფრო მეტი დესტაბილიზაცია.

რა თქმა უნდა, ფახრიზადეს მკვლელობის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გამოსამიებელი და გასარკვევი. მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას: მისი ლიკვიდაცია ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ფარული ომის ნაწილია, რომელიც მეცნიერის მკვლელობის შემდეგ შესაძლოა ახალ ფაზაში გადავიდეს. ეს ფაქტი კი ნამდვილად არ წაადგება აშშ-ის პრეზიდენტად არჩეული ბაიდენის გეგმას, დაიწყოს დიპლომატიური მოლაპარაკებები ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან.